



საქართველოს მთავრობის გ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

№165 2020 წლის 28 იანვარი ქ. თბილისი

სსიპ – სასწავლო უნივერსიტეტის – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მიერ განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვისათვის ელექტრონული ტენდერის შემჭიდროებული ვადის განსაზღვრის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10¹ მუხლის 3¹ პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ობიექტების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მიეცეს უფლება სსიპ – სასწავლო უნივერსიტეტს – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის – ქ. ფოთში, წმინდა გიორგის ქ. №24-ში მდებარე ყოფილი ჰიდრო-მელიორაციული ტექნიკუმის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა, სავარაუდო ღირებულებით – 5`876`164.00 (ხუთი მილიონ რვაას სამოცდათექვსმეტი ათას ას სამოცდაოთხი) ლარის ოდენობით, განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 15¹ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადებში.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი გახარია